ა.წ. 25 სექტემბერს მერიის არქიტექტურის სამსახურისგან მიღებული შუალედური გადაწყვეტილება N904599- ში გამოვლენილი ხარვეზებთან დაკავშირებით გაცნობებთ:

შენიშვნა 1. საკადასტრო საზღვრები (წითელი ხაზები) დასაზუსტებელია. მიწისქვეშა კომპლექსი ცდება საკადასტრო საზღვრებს.

- მიწისქვეშა კომპლექსი წარმოადგენს არსებულ ნაგებობას, რომელიც ექსპლოატაციაში იმყოფება 1980-იანი წლებიდან. ამჟამად მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი პროექტისათვის იგი მხოლოდ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაა. ჩვენი საპროექტო ნაკვეთი მდებარეობს მიწის, ანუ ე.წ. ნულოვან დონეზე და არ იჭრება არსებული მიწისქვეშა კომპლექსის ფართებში.

შენიშვნა 2 . გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოზე (ოქმი N26) გაეწია რეკომენდაცია განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე განსახილველად ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. „ ერთი ნაკვეთი სსზ–2–შია მეორეს დიდი ნაწილი ტზ–1–ში.'' შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ზონის ცვლილების გადაწყვეტილება.

- ქ. თბილისის საკრებულოს ა.წ. 17 სექტემბრის გადაწყვეტილება ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით #14-43 იხილეთ: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2016673&lang=ge

შენიშვნა 3 . წარმოდგენილი უნდა იქნას გაერთიანებული საკადასტრო გეგმა.

- გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 01.15.04.001.002 ნაკვეთის მესაკუთრეა შპს ,,ახალი ოფისი“ და ამ ნაკვეთზე ვრცელდება სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება, ხოლო 01.15.04.001.007 ნაკვეთის მესაკუთრეა შპს ,,ცენტრ პლაზა“. ამრიგად უახლოეს დროში ამ ორი ნაკვეთის გაერთიანება ვერ ხერხდება.